



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის  
შესახებ

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი:

12/05/2020

დასკვნის წარდგენის თარიღი

09/07/2020

თბილისი

2020

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	229275405
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლების ადმინისტრირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	განათლების ადმინისტრირების მაგისტრი 0413
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე ჯიბლაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე კვირიკაშვილი, ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გვანცა ძიმიგური, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემჯავებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს პროფესიონალები, რომლებიც აღჭურვილი არიან ზოგადად, განათლების სფეროში ადმინისტრირებისთვის საჭირო ცოდნით და უნარებით, ხელმძღვანელობენ პროფესიული ეთიკის პრინციპებით და არიან განვითარებაზე ორიენტირებულნი. პროგრამა გულისხმობს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართვის შუა რგოლის სპეციალისტების მომზადებას, რომელსაც ექნებათ საკმარისი ინტერესი და მოტივაცია, გააუმჯობესონ ის გარემო, რომელშიც მუშაობენ და დაისახონ კარიერული განვითარების გზა/ები.

პროგრამა ზოგადი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განახლებულ და განვრცობილ ვერსიას წარმოადგენს. ის ამჯერად მოიცავს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურებს. განახლებული სამაგისტრო პროგრამა ეყრდნობა 2019 წელს აკრედიტებული განათლების ადმინისტრირების ინგლისურენოვან პროგრამას და ითვალისწინებს მის გამოცდილებას. ასევე, განახლებულ პროგრამაში ასახულია შიდა საუნივერსიტეტო დაკვირვების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები. ამასთან, გათვალისწინებულია განათლების სფეროში დასაქმების ზოგადი დინამიკა.

პროგრამა ყოველწლიურად საშუალოდ 9 სტუდენტს ღებულობს<sup>1</sup> და ამჟამად 11 აქტიური სტუდენტი ყავს. სტუდენტთა მიერ პროგრამის დამთავრების მაჩვენებელი 5 წლის განმავლობაში 50%-ის ფარგლებშია. ხშირ შემთხვევაში, სტატუსის შეჩერების მიზეზი დასაქმებაა. ამასთან, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მაღალია - 95%. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მათ შორის კვალიფიკაციით ნახევარზე ნაკლებია დასაქმებული. ეს მაჩვენებელი გახდა პროგრამის ფოკუსის გაფართოების ერთ-ერთი მათავარი მიზეზი. უნივერსიტეტში შექმნილია სწავლის, კვლევისა და პროფესიული განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები. თვალსაჩინოა აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების თუ კურსდამთავრებულების ძლიერი საუნივერსიტეტო იდენტობა და განვითარებაზე მიმართული გარემოს გაღვივებაზე ზრუნვის შეგრძნება.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

2020 წლის 12 მაისს, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკრედიტაციის ვიზიტი ვირტუალურად ჩატარდა, COVID-19 პანდემიის მიზეზით გამოწვეული შეზღუდვების პირობებში. ვიზიტი გამართა აკრედიტაციის ოთხკაციანმა ჯგუფმა (შემადგენლობა იხ. გვ.2-ზე). დღის წესრიგით დაგეგმილი ყველა შეხვედრა შედგა, თუმცა ვირტუალური ვიზიტის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ მოხდა ფიზიკურად ინფრასტრუქტურის დათვალიერება.

<sup>1</sup> თუ არ ჩავთვლით 2018-19 აკადემიურ წელს, როდესაც ავტორიზაციის მოკლევადიანი შეჩერების გამო, უნივერსიტეტმა ვერ შეძლო სტუდენტთა მიღება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამა აკმაყოფილებს ხუთივე სტანდარტს, თუმცა სხვადასხვა დონეზე. თვალსაჩინოა, რომ პროგრამის განვითარებაზე მუშაობა მუდმივმოქმედი პროცესია, რაც ზოგადად, უნივერსიტეტის სამუშაო ეთიკის ნაწილია. აკრედიტაციის ჯგუფს 1.1. და 2.3. ქვესტანდარტებში აქვს პროგრამაზე მომუშავე გუნდისთვის განსაზღვრული რეკომენდაციები, ხოლო სხვა შემთხვევებში, პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის შეთავაზებულია რჩევები.

- **რეკომენდაციები**

- პროგრამის მე-2 სწავლის შედეგი გადასახედია და მისი სხვაგვარად ფორმულირება მნიშვნელოვანია, იმისთვის რომ ის არ ასახავდეს აღწერით სამუშაოს, არამედ კომპლექსური და ანალიტიკური შესაძლებლობის განვითარებას გულისხმობდეს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირ ველი რაუნდის შემდეგ, პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა მოხდეს გაზომვადი შედეგების ფორმულირების მიზნით.
- განათლების დაფინანსება და ბიუჯეტირება - კურსის ავტორმა შეიტანოს ბიუჯეტირების საკითხები კურსის ფარგლებში
- განათლების ხარისხის მართვის კურსში მოხდეს განათლების სამივე საფეხურის შესატყვისი საკითხების თანაბრად დაფარვა. განახლდეს და გამრავალფეროვანდეს ლიტერატურა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- პროგრამის მომდევნო (შიდა) შეფასების დროს, გამოცდილების დაგროვების შემდეგ, გადახედონ მიზანს და მოახდინონ მისი ხელახალი ფორმულირება, პროგრამის დანიშნულების მკაფიოდ გამოხატვის მიზნით
- მნიშვნელოვანი იქნება, პროგრამის ამოქმედების შემდეგ მისი პირველადი შედეგები მალევე გაანალიზდეს, რომ პროგრამაში წარმოდგენილი ზოგადი/უნივერსალური და განათლების სამივე საფეხურისთვის სფეციფიკური საკითხების მართებული ბალანსის შეფასება გუნდმა მალევე შეძლოს.
- სასურველია აფილირებული აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების რიცხვი გაიზარდოს საერთაშორისო მაღალ რეიტინგულ რეფერირებად ჟურნალებში.

- სასურველია აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე წვდომა ქონდეთ უნივერსიტეტის მიღმაც.
  - სასურველია მოხდეს სასწავლო რესურსების განახლება უახლესი ლიტერატურით.
  - უსდ იზრუნოს პროგრამის ცნობადობის გაზრდაზე და მოახდინოს დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
    - კვლევით უნარების განვითარებისთვის პროგრამა წახალისებს მინი-კვლევების ფორმატს, რომელიც ინტეგრირებულია პროგრამაში.
    - პრაქტიკის მსვლელობისას ყოველ კვირეულად ან ორ კვირაში ერთხელ, უნივერსიტეტში იმართება კონსულტაციები სტუდენტების მიერ იდენტიფიცირებულ საკითხებზე.
    - თითოეული აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის გამოყოფილი ყოველწლიური 3000 ლარიანი ბიუჯეტი კვლევითი აქტივობების განსახორციელებლად.
  - **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამა მონო-პროფილურიდან ინაცვლებს მრავალპროფილური ადმინისტრირების სფეროსკენ. ამდენად ეს მნიშვნელოვანი და, გარკვეულწილად, ამბიციური ცვლილებაა, რომელიც ერთის მხრივ, გულისხმობს უნივერსალური ცოდნა-უნარების კომბინაციის განსაზღვრას, რომელიც განათლების სამივე საფეხურისთვის არის შესატყვისი და საჭირო. მეორესმხრივ, მნიშვნელოვანია პროგრამამ წინ წამოწიოს ის ასპექტები, რომლებიც განათლების ამ სამ საფეხურს განასხვავებს ერთმანეთისგან. ამდენად, პროგრამაზე მომუშავე გუნდის მთავარი გამოწვევა ზოგად/უნივერსალურსა და დარგობრივ/სპეციფიკურს შორის მართებული წონასწორობის პოვნა იყო. ამ გამოწვევას პროგრამის სტრუქტურა ორიგინალურად პასუხობს - პროგრამის სალექციო კომპონენტი მეტწილად ზოგად/უნივერსალურ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას, ხოლო განათლების სხვადასხვა საფეხურის დარგობრივი სპეციფიკის შეთვისება პროგრამის პრაქტიკის კომპონენტში ხდება, სადაც სტუდენტები პრაქტიკას განათლების სამივე საფეხურის დაწესებულებაში გაივლიან.

ამ შედეგის მისაღწევად პროგრამის შინაარსობრივი ნაწილი მნიშვნელოვნადაა გამდიდრებული, განახლებულია სწავლის შედეგები, დივერსიფიცირებულია პრაქტიკაში ჩართული დაწესებულებების ნუსხა.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია „ მოამზადოს განათლების სფეროს პროფესიონალები, რომლებიც ფლობენ ადმინისტრირებისათვის ღრმა სისტემურ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, უნარ-ჩვევებს (კვლევა; განათლების სისტემაში არსებული ადამიანური და ფინანსური პროცესების დაგეგმვა, მართვა, შეფასება, მონიტორინგი და განვითარება) და იცავენ პროფესიული ეთიკის ნორმებს. აგრეთვე, პროგრამის მიზანია სტუდენტებმა შეძლონ თვით- და ურთიერთშეფასება, დამოუკიდებლად სწავლის სტრატეგიული დაგეგმვა და განხორციელება“. (იხ. პროგრამის აღწერა).

პროგრამის მიზნები ეხმაურება უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ხაზს უსვამს პროფესიონალიზმს და კურსდამთავრებულთა კონკურენტიუნარიანობას (იხ. <https://ibsu.edu.ge/ge/mission-vision/>). პროგრამის მიზნები ყურადღებას ამახვილებს თეორიული, ისევე როგორც პრაქტიკული ცოდნასა და უნარებზე და აკონკრეტებს იმ ძირითად ელემენტებს, რომელსაც მნიშვნელოვნად თვლის ადმინისტრირების პროგრამის შინაარსისთვის. ესენია - ადამიანური და ფინანსური რესურსები, შეფასება, განვითარება. პროგრამის მიზნებშივე მკაფიოდ ჩანს, რომ თვითგანვითარების უნარების განვითარება პრიორიტეტია. პროგრამის ხელმძღვანელებთან ასევე დაზუსტდა, რომ პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს საშუალო რგოლის ადმინისტრატორები, რომლებსაც ექნებათ მოტივაცია და კომპეტენცია, გააუმჯობესონ მათი სამუშაო გარემო და წვლილი შეიტანონ ორგანიზაციის გაუმჯობესებულ მუშაობაში. ამით, პროგრამას (მის პოტენციურ კურსდამთავრებულებს) წვლილი შეაქვს საქართველოში საგანმანათლებლო სფეროს მოდერნიზებასა და გაუმჯობესებულ ფუნქციონირებაში.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მიზანი არაა მოკლებული კონკრეტული საკითხების ჩამონათვალს, ის მკაფიოდ არ გამოხატავს პროგრამის ხელმძღვანელებისა და ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ გაცხადებულ დანიშნულებას. აკრედიტაციის ჯგუფის შეთავაზება იქნება, რომ პროგრამის მომდევნო (შიდა) შეფასების დროს, გადახედონ მიზანს და მოახდინონ მისი ხელახალი ფორმულირება.

<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ თვითშეფასების ანგარიში</li> <li>○ პროგრამის აღწერა</li> <li>○ ინტერვიუს შედეგები</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><b>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;</li> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;</li> <li>➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</li> </ul>
--

## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ადმინისტრირების პროგრამის სწავლის შედეგები ორგანიზებულია ორი ძირითადი ბლოკის გარშემო: განათლების სისტემები და თეორიები; ადმინისტრირების თეორიები და პრინციპები. სწავლის შედეგები მიმართულია მიღებული ცოდნის კრიტიკულ ანალიზზე და მათი სინთეზირებით რეალური გამოწვევების ახლებურად გადაჭრის უნარების გამომუშავებაზე. ეს ყოველივე შეესაბამება პროგრამის მიზნებს, თუმცა მათი ფორმულირება ყოველთვის არ არის მკაფიო და ზოგ შემთხვევაში არ შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს. კონკრეტულად, პროგრამის მე-2 სწავლის შედეგი გადასახედია და მისი სხვაგვარად ფორმულირება მნიშვნელოვანია, იმისთვის რომ ის არ ასახავდეს აღწერით სამუშაოს, არამედ კომპლექსური და ანალიტიკური შესაძლებლობის განვითარებას გულისხმობდეს.

სწავლის შედეგები მიღწევადია, თუმცა მათი გაზომვა შესაძლოა ყოველთვის არ იყოს შესაძლებელი. ეს განსაკუთრებით ეხება პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ამსახველ შედეგებს. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირველი რაუნდის შემდეგ, პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა მოხდეს გაზომვადი შედეგების ფორმულირების მიზნით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ახლადდანიერგილი შედეგების შეფასების მექანიზმით იგეგმება, რომლის მიხედვითაც პროგრამის შედეგების შეფასება სამწლიანი ციკლით მოხდება. ყოველწლიურად მოხდება საშუალოდ ორი შედეგის შეფასება წინასწარგანსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან მიმართებაში (იხ. დანართები 8, 9).

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები.

### რეკომენდაციები:

- პროგრამის მე-2 სწავლის შედეგი გადასახედია და მისი სხვაგვარად ფორმულირება მნიშვნელოვანია, იმისთვის რომ ის არ ასახავდეს აღწერით სამუშაოს, არამედ კომპლექსური და ანალიტიკური შესაძლებლობის განვითარებას გულისხმობდეს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირველი რაუნდის შემდეგ, პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა მოხდეს გაზომვადი შედეგების ფორმულირების მიზნით.

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):



<ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><b>X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p><b>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b></p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
--

<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვის წინაპირობაა საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება. ამასთან, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (B2 დონე). პროგრამის ხელმძღვანელების თქმით, ინგლისური ენის ცოდნა მნიშვნელოვანია სფეროში არსებული მნიშვნელოვანი ლიტერატურის დასაძლევად, რასაც აკრედიტაციის ჯგუფი იზიარებს.</p> <p>სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები ხელმისაწვდომია სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის ვებგვერდზე: <a href="https://ibs.u.edu.ge/ge/se-page/general-education-administration/">https://ibs.u.edu.ge/ge/se-page/general-education-administration/</a></p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ თვითშეფასების ანგარიში</li> <li>○ ვებ-გვერდი</li> <li>○ პროგრამის აღწერილობა</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><b>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტს (ECTS) მოიცავს. პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი კურსების ბლოკების, პრაქტიკის და სამაგისტრო ნაშრომის ერთობლიობისგან. კურსების დიდი წილი სავალდებულოა (72 კრედიტი), რაც პროგრამაში ჩართულმა თანამშრომლებმა პროგრამის განვრცობილი შინაარსით ახსნეს. იმდენად რამდენადაც პროგრამას დაემატა უმაღლესი და პროფესიული განათლების საფეხურები, მნიშვნელოვანი გახდა კურსების დამატება, ისევე როგორც კურსების მოცულობის გაზრდაც. სავალდებულო ბლოკში არსებული კურსები მეტწილად 8 კრედიტიანია. არჩევითი კომპონენტისთვის გათვალისწინებულია 18 კრედიტი. არჩევითი კურსების რაოდენობა და თემატური მრავალფეროვნება საშუალებას იძლევა, სტუდენტმა გაიღმრავოს კომპეტენცია განათლების ერთ-ერთი საფეხურის მიმართულებით, თუ ამის ინტერესი გაუჩნდება.

მესამე სემესტრში სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას, რომელსაც 10 კრედიტი ეთმობა. პროგრამის განვითარებაში ჩართული თანამშრომლების და პროგრამის ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით, პრაქტიკა ხორციელდება განათლების სამი საფეხურის შესაბამის ორგანიზაციებში და სტუდენტმა უნდა გაიაროს პრაქტიკა სამივე ორგანიზაციაში, რომ წარმოდგენა შეექმნას სამივე საფეხურისთვის დამახასიათებელ სამუშაო სპეციფიკაზე. პრაქტიკის სილაბუსის გარდა პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია (და ზოგადი განათლების დონეზე კარგად მუშაობს) პრაქტიკის გზამკვლევი, გეგმა და თანმდევი შეფასების ფორმები.

დამამთავრებელ სემესტრში სტუდენტი მუშაობს სამაგისტრო ნაშრომზე, რომელსაც დაიცავს საჯაროდ. სამაგისტრო ნაშრომების შეფასება საშუალებას გვაძლევს, რომ ეს კომპონენტი დადებითად შევაფასოთ. ნაშრომების სტრუქტურა, აკადემიური წერის და ეთიკის პრინციპების დაცვა და ხარისხიანი სამაგისტრო კვლევის ნიმუშები სახეზეა. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრებმა ცხადყო, რომ სამაგისტრო კვლევაზე მუშაობა ხელმძღვანელის ჩართულობით მიმდინარეობს და კოლეგიალური თანამშრომლობის კარგი მაგალითია. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანი და გამჭვირვალეა.

საბოლოოდ, ყურადსაღებია ერთი რამ - პროგრამა მონო-პროფილურიდან ინაცვლებს მრავალპროფილური ადმინისტრირების სფეროსკენ. ამდენად ეს მნიშვნელოვანი და, გარკვეულწილად, ამბიციური ცვლილებაა, რომელიც ერთის მხრივ, გულისხმობს უნივერსალური ცოდნა-უნარების კომბინაციის განსაზღვრას, რომელიც განათლების სამივე საფეხურისთვის არის შესატყვისი და საჭირო. მეორეს მხრივ, მნიშვნელოვანია პროგრამამ წინ წამოწიოს ის ასპექტები, რომლებიც განასხვავებს განათლების ამ სამ საფეხურს ერთმანეთისგან. ამდენად, პროგრამაზე მომუშავე გუნდის მთავარი გამოწვევა

<p>ზოგად/უნივერსალურსა და განათლების სამი საფეხურის დარგობრივ/სპეციფიკურ საკითხებს შორის მართებული წონასწორობის პოვნაა. ამ გამოწვევას პროგრამის სტრუქტურა ორიგინალურად პასუხობს - პროგრამის სალექციო კომპონენტი მეტწილად ზოგად/უნივერსალურ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას, ხოლო დარგობრივი სპეციფიკის შეთვისება პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში ხდება, სადაც სტუდენტები პრაქტიკას განათლების სამივე საფეხურის დაწესებულებაში გაივლიან. მნიშვნელოვანი იქნება, პროგრამის ამოქმედების შემდეგ მისი პირველადი შედეგები მალევე გაანალიზდეს, რომ ამ წონასწორობის მართებულობის შეფასება გუნდმა მალევე შეძლოს.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ თვითშეფასების ანაგრიში</li> <li>○ სამაგისტრო ნაშრომები</li> <li>○ სამაგისტრო ნაშრომების შეფასება</li> <li>○ პროგრამის აღწერილობა</li> <li>○ ინტერვიუს შედეგები</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>მნიშვნელოვანი იქნება, პროგრამის ამოქმედების შემდეგ მისი პირველადი შედეგები მალევე გაანალიზდეს, რომ ამ წონასწორობის მართებულობის შეფასება გუნდმა მალევე შეძლოს.</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><b>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

### 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. კურსები ორიენტირებულია საჭირო დარგობრივი კომპეტენციებისა და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენების უნარების განვითარებაზე. ამასთან, ის აქცენტს აკეთებს გამოყენებით კვლევაზე, რაც კურსების მსვლელობაშია ინტეგრირებული მინი-კვლევების სახით. კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე, გათვალისწინებულია დაშვების წინაპირობები და კურსების წყობა თანმიმდევრული და ლოგიკურია.

კურსების შინაარსები ძირითადად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. თუმცა, ზოგიერთი კურსის სილაბუსში გამორჩენილია მნიშვნელოვანი თემები. მაგალითად, განათლების ხარისხის მართვის სილაბუსში არ არის გამოკვეთილი, რომ მასალა ზოგად და პროფესიულ განათლებას ფარავს, პირიქით აქ მკაფიოდაა გამოკვეთილი უმაღლესი განათლების საფეხურის მახასიათებლები. ამასთან, ყურადსაღებია, რომ საკითხავი მასალა რიგ შემთხვევებში მეორდება, ხოლო ლიტერატურა - მოძველებულია. ამდენად, აკრედიტაციის ჯგუფის რეკომენდაცია იქნება, რომ მოხდეს კურსში განათლების სამი საფეხურის შესატყვისი საკითხების თანაბრად დაფარვა. განახლდეს და გამრავალფეროვანდეს ლიტერატურა.

ზოგადად, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის გამოწვევა იქნება, განათლების სამივე საფეხური თანაბრად იყოს განხილული მათი კურსების ფარგლებში. მნიშვნელოვანი იქნება, რომ ეს ნათლად იყოს ასახული ყველა იმ კურსის სილაბუსში, რომელიც სამივე საფეხურს შეეხება.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

#### რეკომენდაციები:

განათლების ხარისხის მართვის კურსში მოხდეს განათლების სამივე საფეხურის შესატყვისი საკითხების თანაბრად დაფარვა. განახლდეს და გამრავალფეროვანდეს ლიტერატურა.

<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
არასაკვალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<b>შეფასება</b>
<p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<b>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</b>
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
<b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b>
<p>შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ყოველწლიური სტუდენტური კონფერენციების მოწყობას, რომლებშიც აქტიურად ერთვება ყველა საფეხურის სტუდენტი. კონფერენციების მონაწილეთა ნაშრომები გამოიცემა უნივერსიტეტის კრებულის სახით. განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ ამ კონფერენციებში. ეს შესაძლებლობა ძალიან ეხმარება სტუდენტებს, შეიძინონ კვლევის და მისი პრეზენტაციის უნარები და სძენს მათ თავდაჯერებულობას.</p> <p>გარდა ამისა, სტუდენტებს ხელს უწყობენ მათი კვლევის შედეგების გამოქვეყნებაში და წახალისებენ პროგრამის აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობას ერთობლივ პუბლიკაციაზე თუ პროექტზე მუშაობის ფორმით. უნივერსიტეტს ასევე აქვს შიდა საუნივერსიტეტო ფონდი საკონფერენციო ხარჯების დაფარვისთვის, რომელზეც სტუდენტებსაც მიუწვდებათ ხელი. კვლევით უნარების განვითარებისთვის პროგრამა წახალისებს მინი-კვლევების ფორმატს, რომელიც ინტეგრირებულია პროგრამაში.</p>

<p>მინი-კვლევები კურსდამთავრებულებისთვის მნიშვნელოვან გამოცდილებადაა მიჩნეული და სხვა პროგრამებისთვის მისაბამი საგანმანათლებლო ფორმატია.</p> <p>პრაქტიკას პროგრამაში 10 კრედიტი ეთმობა. პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი ისეა დაგეგმილი, რომ უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ მიღებული ზოგადი ცოდნა პრაქტიკულ საქმიანობაში გადატაიტანონ და განათლების სამივე საფეხურის სპეციფიკაში გაერკვნენ. პრაქტიკის უზრუნველსაყოფად მემორანდუმებია გაფორმებული პროფესიულ სასწავლებელთან და სკოლებთან, ხოლო უმაღლესი განათლების საფეხურზე პრაქტიკას სტუდენტები შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტშივე გაივლიან.</p> <p>აღსანიშნავია, რომ სკოლებში პრაქტიკის მსვლელობისას სტუდენტების თხოვნით პროგრამამ პრაქტიკის კომპონენტს შემატა რეგულარული კონსულტაციები. შედეგად, პრაქტიკის მსვლელობისას ყოველ კვირეულად ან ორ კვირაში ერთხელ, უნივერსიტეტში იმართება კონსულტაციები სტუდენტების მიერ იდენტიფიცირებულ საკითხებზე. ეს არის ერთ-ერთი კარგი პრაქტიკა, რომელიც სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებმაც უნდა გაიზიარონ.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ თვითშეფასების ანგარიში</li> <li>○ პრაქტიკის სილაბუსი, შესაბამისი დოკუმენტები</li> <li>○ ინტერვიუს შედეგები</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ კვლევით უნარების განვითარებისთვის პროგრამა წახალისებს მინი-კვლევების ფორმატს, რომელიც ინტეგრირებულია პროგრამაში.</li> <li>○ პრაქტიკის მსვლელობისას ყოველ კვირეულად ან ორ კვირაში ერთხელ, უნივერსიტეტში იმართება კონსულტაციები სტუდენტების მიერ იდენტიფიცირებულ საკითხებზე.</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p>

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თითოეული კურსის სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფენ მათ მიღწევას; პროგრამაში მოცემული სწავლების/სწავლის მეთოდები მრავალფეროვანი და ინტერაქტიულია. მათ შორის ხაზს გაუსვამდი შემთხვევების ანალიზს, დისკუსიას და დებატებს, და მინი-კვლევები. შემთხვევის ანალიზის საშუალებით სტუდენტები თეორიულ ცოდნას/საკითხების სინთეზს რეალური შემთხვევის ფარგლებში იყენებენ, რაც მნიშვნელოვანია მიღებული ცოდნის გააზრებისთვის. დისკუსია და დებატები კრიტიკული აზროვნების განვითარების მთავარი მეთოდებია, ხოლო მინი-კვლევები საშუალებას იძლევა მთელი პროგრამის განმავლობაში სტუდენტი გაიწაფოს კვლევის კეთებაში და კვლევაზე დამყარებული ქმედების უპირატესობები გაითავისოს. გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები აკადემიური დონის შესატყვისია და შეესაბამება კანონდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს.

თუმცა, უმთავრესია ის, რომ უნივერსიტეტში შექმნილია გარემო, სადაც სტუდენტი აღიარებულია როგორც კოლეგა და უნივერსიტეტის ცენტრალური მოქმედი პირი. ამდენად თვალსაჩინოა, რომ საუნივერსიტეტო რესურსი - ადამიანური, ფინანსური თუ ინფრასტრუქტურული - მობილიზებულია სტუდენტის პოტენციალის გაღვივებასა და მათი, როგორც ქმედითუნარიანი ინდივიდების აქტუალიზებაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის აღწერილობა
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები



<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><b>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>2.6. სტუდენტების შეფასება</b></p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სტუდენტთა შეფასება ფორმალიზებული და გამჭვირვალეა. ყოველი კურსის სილაბუსში მოცემულია შეფასების სისტემა (100 ქულიანი), შეფასების კომპონენტები და შესაბამისი რუბრიკები. შეფასების მეთოდები, როგორებიცაა ტესტი, ესე, ანაგრიში, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტი, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და განათლების ადმინისტრირების პროგრამაში, საქართველოში და საერთაშორისოდ, ჩამოყალიბებულ გამოცდილებას შეესაბამება. სტუდენტი ასევე ფასდება პრაქტიკის გავლისას წინასწარ დადგენილი შეფასების სქემის მიხედვით. ასევე, მრავალკომპონენტანია სამაგისტრო ნაშრომის შეფასება. ნაშრომი ფასდება შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად: აქტუალობა, კვლევის პრაქტიკული ან/და თეორიული მნიშვნელობა, სიახლე, საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა, კვლევის შედეგების დამაჯერებლობა, დაცვისას მასალის პრეზენტაცია, დაცვის პროცესში კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, დაცვისას გამოყენებული თვალსაჩინოების ეფექტურობა. ეს ჩამონათვალი ესატყვისება დარგში (და ზოგადად, სოციალურ მეცნიერებებში) დამკვიდრებულ კარგ საერთაშორისო პრაქტიკას. და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ყურადღებას ამახვილებს სტუდენტის, როგორც დამწყები</p>

<p>მკვლევარის საჭირო უნარ-ჩვევების დადასტურებასა და ცოდნის გამოვლენაზე. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის და საბოლოო შეფასების პროცედურა ნათლად გაწერილი და უზრუნველყოფს მიუკერძოებელ შეფასებას.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ შეფასების მექანიზმები</li> <li>○ თვითშეფასების ანგარიში</li> <li>○ პროგრამის აღწერილობა</li> <li>○ სილაბუსები</li> <li>○ სამაგისტრო ნაშრომების შეფასება</li> <li>○ სამაგისტრო ნაშრომების შეფასების ოქმები</li> <li>○ ინტერვიუს შედეგები</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><b>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების ქართულენოვან სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს სწავლის დაწყებამდე უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა, რომელზეც პრეზენტაციების საშუალებით მათ მიეწოდებათ ინფორმაცია პროგრამის შესახებ.

პროგრამის სტუდენტები სისტემატურად და დროულად იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციას და დახმარებას. ადმინისტრაციული და აკადემიური საკითხების გადასაწყვეტად სტუდენტებს შესაბამისი რჩევების მიღება შეუძლიათ პროგრამის ხელმძღვანელებთან, ფაკულტეტის დეკანატში, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, რომ მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში, სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში.

სტუდენტები ინფორმირებულნი არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ, საინფორმაციო შეხვედრებისა და ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მეშვეობით. შესაბამისად, პროგრამის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა პროექტებში, ღონისძიებებსა და აქტივობებში.

<p>სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სწავლების პროცესთან დაკავშირებული კონსულტაციებით– აკადემიური/ ადმინისტრაციული/ დამხმარე პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისთვის გამოყოფილი საათები (პროგრამის სილაბუსებში აღნიშნულია კონსულტაციისთვის გამოყოფილი 1 საათი).</p> <p>ყოველსემესტრული ხასიათი აქვს სტუდენტთა გამოკითხვებს მათი კმაყოფილებისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხის დადგენის და შესაძლო გაუმჯობესების მიზნით.</p> <p>კარიერის დაგეგმვის სამსახურის მეშვეობით სტუდენტები ინფორმირებული არიან დამსაქმებელთა შემოთავაზებებზე საინფორმაციო დაფისა და უნივერსიტეტის ვებ გვერდის საშუალებით.</p> <p>ფორმალიზებული მექანიზმების გარდა, რომელიც სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს ქმნის უნივერსიტეტში და, შესაბამისად, პროგრამისთვისაც, უნივერსიტეტში აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ პერსონალსა და სტუდენტებს შორის შემდგარია უშუალო, კოლეგიალური დამოკიდებულება, რომელიც სტუდენტებს უღვივებს მტკიცე მიკუთვნებულობის განცდას და გამოკვეთილ საუნივერსიტეტო იდენტობას.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურებები;</li> <li>○ საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ პირთა (პროგრამაში ჩართული აკადემიური/ადმინისტრაციული/მოწვეული/დამხმარე პერსონალი, ფაკულტეტის კოორდინატორი) დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები;</li> <li>○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p>

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის თითოეულ სტუდენტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი (ასოცირებული პროფესორი ან პროფესორი, დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პერსონალი).

უნივერსიტეტს აქვს ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების და ხელმძღვანელობის პროცესის ამსახველი დოკუმენტი (სამაგისტრო სწავლების დებულება, მუხლი 10 და 15). სტუდენტი სარგებლობს ხელმძღვანელთან კონსულტაციით, რაც კვირაში ერთი საათით განისაზღვრება. თუმცა, ამასთან ერთად, ხაზგასასმელია ის, რომ პროგრამის ფარგლებში არსებული კოლეგიალური გარემო არის განმსაზღვრელი და გადამწყვეტი ფაქტორი იმისა, რომ სტუდენტების მიერ შექმნილი პროდუქტი ხარისხიანია (ამაში დავრწმუნდით სამაგისტრო ნაშრომების გადახედვისას), და მათი უკუკავშირი სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის თაობაზე - დადებითი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო სწავლების დებულება;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

## შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

### X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 10 აფილირებული აკადემიური (3 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი), 8 მოწვეული და 49 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი უსდ-ს შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების (სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომები, სამეცნიერო პუბლიკაციები, ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ, კონფერენციებსა და ტრენინგებში მონაწილეობა) შესწავლისა და მათთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ მათ გააჩნიათ განათლების დარგში შესაბამისი კვალიფიკაცია და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შემუშავებისთვის საჭირო კომპეტენციები. მათი ცოდნა და კომპეტენცია დასტურდება შესაბამისი სამეცნიერო ხარისხით, განათლების დარგში პრაქტიკული გამოცდილებითა და ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, თუმცა სასურველია აფილირებული აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების რიცხვი გაიზარდოს საერთაშორისო მაღალ რეიტინგულ რეფერირებად ჟურნალებში. აღნიშნული საგანმანათლებლობა პროგრამა ხასიათდება აკადემიური პერსონალის გადინების დაბალი მაჩვენებელით ბოლო 5 წლის განმავლობაში, რაც ცხადყოფს მის მდგრადობას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს აკადემიური დატვირთვისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის დებულება, რომელიც არეგულირებს აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების აკადემიური დატვირთვის ოდენობას, გაანგარიშების წესსა და კრიტერიუმებს. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა ადეკვატურია პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე, ეს კი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას და მათზე დაკისრებული სხვა (ადმინისტრაციული თუ კვლევითი) ფუნქციების ჯეროვნად შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი დაცულია (18/11), რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ცოდნა/შესაბამისი გამოცდილება და აქტიურად არიან ჩართული პროგრამის განხორციელების პროცესში (პროგრამის განვითარების პროცესებში, სტუდენტების კონსულტირებაში, სწავლებასა და კვლევაში).

უსდ აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს უზრუნველყოფს სათანადო რაოდენობისა და კომპეტენციის მქონდე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები
- პროგრამის აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- აკადემიური დატვირთვისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის დებულება;
- აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი;

<ul style="list-style-type: none"> <li>○ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუები</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>სასურველია აფილირებული აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების რიცხვი გაიზარდოს საერთაშორისო მაღალ რეიტინგულ რეფერირებად ჟურნალებში.</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><b>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</b></p>
<ul style="list-style-type: none"> <li>➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;</li> <li>➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწარმოებს განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სემესტრულ და ყოველწლიურ შეფასებას (აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება; სტუდენტების შეფასება,</p>



<p>საუნივერსიტეტო პორტალის smart-ის გამოყენების ინტენსივობა, საგამოცდო ტესტების ხარისხი). შეფასების შედეგების ანალიზს აღნიშნული სამსახური და პროგრამის კოორდინატორი იყენებს პრობლემების დროული იდენტიფიცირების/ აღმოფხვრის მიზნით და პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობების განსასაზღვრად. შეფასება მოიცავს ინფორმაციას აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობების შესახებ (გამოქვეყნებული პუბლიკაციები: წიგნები, სტატიები; სამეცნიერო ღონისძიებები (კონფერენციებზე, კონგრესებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა); სემინარებსა და პროექტებში ჩართულობა; კვლევითი ნაშრომების ხელმძღვანელობა; ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, ტრენინგებში მონაწილეობა).</p> <p>აღნიშნული უსდ ზრუნავს მისი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე სხვადასხვა აქტივობების საშუალებით (ტრენინგების, საუნივერსიტეტო კონფერენციებისა და პარტნიორ უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამების უზრუნველყოფით) და ასევე ახალისებს მათ ჩართულობას კვლევით საქმიანობაში საუნივერსიტეტო რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნების პერსპექტივით (Journal of Education in Black Sea Region), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობით და თითოეული აფილირებული პერსონალისთვის განკუთვნილი 3000 ლარიანი წლიური ფონდით.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის წლიური ანგარიში;</li> <li>○ სამეცნიერო მოღვაწეობის წლიური ანგარიშის ანალიზის დოკუმენტი;</li> <li>○ თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>○ უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;</li> <li>○ უნივერსიტეტის სიდა რეგულაცია/ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;</li> <li>○ ინტერვიუს შედეგები</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ თითოეული აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის გამოყოფილი ყოველწლიური 3000 ლარიანი ბიუჯეტი კვლევითი აქტივობების განსახორციელებლად.</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.3 მატერიალური რესურსი**

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2019/20 წლის მდგომარეობით ირიცხება 10 აქტიური სტუდენტი; პროგრამაზე გამოცხადებულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ბოლო 5 წლის განმავლობაში ვარიირებს 10-დან 25 სტუდენტამდე, ხოლო ჩარიცხულთა ფაქტობრივი რაოდენობა 7-დან 10 სტუდენტამდე, შესაბამისად, განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას გააჩნია სათანადო ინფრასტრუქტურა (სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, სტუდენტური სივრცეები, ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები) და ტექნიკური აღჭურვილობა (კომპიუტერები, პროექტორები და მონაცემთა დასამუშავებელი პროგრამები), რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უსდ-ის ბიბლიოთეკასა და smart learning პროგრამაში. პერსონალისა და სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო ბაზები (<http://search.epnet.com>; [www.oxfordjournals.org](http://www.oxfordjournals.org); [www.journals.cambridge.org](http://www.journals.cambridge.org); web of science) მხოლოდ უნივერსიტეტის ბაზაზე. სასურველია აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე წვდომა ჟონდეთ უნივერსიტეტის მიღმაც. ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსებში არ არის გამოყენებული სახელმძღვანელოების უახლესი გამოცემები (მაგ. Human Resource Management: A contemporary approach, by Julie Beardwell, Len Holden, Tim Claydon, 5th edition, Prentice Hall 2004; Human Resource Management, by Gary Dessler, 9th edition, Prentice Hall). სასურველია მოხდეს სასწავლო რესურსების განახლება უახლესი ლიტერატურით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში

<ul style="list-style-type: none"> <li>○ ბიბლიოთელის კატალოგი;</li> <li>○ ინტერვიუს შედეგები</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სასურველია აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე წვდომა ქონდეთ უნივერსიტეტის მიღმაც.</li> <li>- სასურველია მოხდეს სასწავლო რესურსების განახლება უახლესი ლიტერატურით.</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><b>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</b></p>
<p>პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, ხარჯების ყველაზე დიდი წილი მოდის თანამშრომელთა ხელფასებზე (აკადემიური პერსონალის და მოწვეული ლექტორების დანახარჯები), სამეცნიერო, კვლევით და სტუდენტთა აქტივობებზე გაწეული ხარჯები ლიმიტირებულია (განსაკუთრებით წიგნების შესყიდვის კუთხით), თუმცა ინტერვიუების პროცესში გაირკვა, რომ მსგავსი აქტივობები ცენტრალური ბიუჯეტიდანაც ფინანსდება (საკრედიტაციო პაკეტში შეცდომით იყო წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების ადმინისტრირება (ინგლისური)/MA General Education Administration (ENGLISH) და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სავარაუდო ბიუჯეტის დოკუმენტები, ნაცვლად ქართულენოვანი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისა და სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტისა. ფაკულტეტის ბიუჯეტში პროგრამის ბიუჯეტის მსგავსად ხარჯების მესამედი თანამშრომელთა ხელფასებზე მოდის.
- ბოლო 3 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა მომართვიანობა პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობასთან მიმართებაში დაბალია. რამდენადაც სტუდენტების სწავლის საფასურისგან მიღებული სარგო წარმოადგენს აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტის ძირითად წყაროს, მნიშვნელოვანია უსდ-მა მოახდინოს დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია (ადგილობრივი კვლევითი გრანტები) და მრავალფეროვანი მარკეტინგული აქტივობებით გაზარდოს აღნიშნულ პროგრამაზე მოთხოვნა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის და პროგრამის ბიუჯეტი
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

უსდ იზრუნოს პროგრამის ცნობადობის გაზრდაზე და მოახდინოს დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<b>X</b>			

**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

**5.1 შიდა ხარისხის შეფასება**

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები და პროცედურები ეფექტურად არის დაგეგმილი როგორც გამოყენებული რესურსების, ასევე დახარჯული დროის თვალსაზრისით.

დადგენილია პროგრამის შემუშავებისა და შეფასების მექანიზმი, რომელიც ორიენტირებულია პროგრამის მუდმივ მონიტორინგზე მისი შემდგომი გაუმჯობესების,

სტუდენტთა საჭიროებებსა და დასაქმების ბაზრის ცვლელად მოთხოვნებზე მორგებისა და ამით კურსდამთავრებულის კონკურენტულობის მაჩვენებლის ზრდაზე. ამ თვალსაზრისით პროგრამის პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

შიდა ხარისხის შეფასება მოიცავს ა) აკადემიური მოსწრების ანალიზს; ბ) სწავლის შედეგების რუკას; გ) პროგრამით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას და დ) პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვლევას.

უნივერსიტეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ხდება პროგრამისა და სასწავლო კურსების დონეზე არსებულ მონაცემთა შეგროვება, დამუშავებასა და პროცენტული განაწილების შესწავლა, რითაც დგინდება სასწავლო კურსის სიმარტივე/სირთულის, თემატიკის რელევანტურობა/არარელევანტურობის, ლექტორის მიერ გამოყენებული შეფასების ფორმების ადეკვატურობა/არაადეკვატურობის ხარისხი და სტუდენტთა მომზადების დონე.

სწავლის თითოეული შედეგის გაზომვა ხორციელდება პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგების სემესტრული შეფასების გეგმის საფუძველზე, რომლის თანახმად შეფასება ხდება იმ სემესტრის ბოლოს, რომელშიც მიღწეულ იქნა სწავლის აღნიშნული შედეგი.

ხდება ინფორმაციის შეგროვება (კითხვარების გამოყენებით) პროგრამით ან ცალკეული სასწავლო კურსით თუ პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტით, სწავლების მეთოდების ეფექტურობითა და სასწავლო ლიტერატურით სტუდენტის კმაყოფილების შესახებ; ასევე ხდება გამორკვევა თუ რამდენად უზრუნველყოფს სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა, საათობრივი დატვირთვა და გამოყენებული მეთოდები სასურველი შედეგის მიღწევას და ხომ არ არის აუცილებელი რომელიმე კომპონენტის კორექტირება.

პროგრამაში შეტანილი ცვლილებების დიდი ნაწილი სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი შეფასებების შედეგად დაიგეგმა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუს შედეგები;
- შინაგანაწესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- სწავლის შედეგების რუკა;
- გამოკითხვის შედეგები;
- შეფასების ანგარიშები;
- სილაბუსები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><b>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>5.2 გარე ხარისხის შეფასება</b></p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ხარისხის გარე შეფასება ხდება უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის დროს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.</p> <p>2015 წელს განხორციელებული გარე შეფასების შემდეგ, უნივერსიტეტს გათვალისწინებული აქვს რეკომენდაცია და ისეთი საგნები, როგორცაა ლიდერობა და ფინანსური მართვა, ახლა საგნების ძირითად ჩამონათვალშია.</p> <p>ასევე, პროგრამის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, შესაძლოა განხორციელდეს ადგილობრივი ან უცხოელი ექსპერტების/დარგის სპეციალისტების მიერ პროგრამის გარე ექსპერტიზა/ ბენჩმარკინგი. გარე ექსპერტების შეფასება შეიძლება ითვალისწინებდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) სასწავლო კურსების კოლეგიალურ შეფასებას ერთმანეთის გამოცდილების გაზიარების მიზნით;</li> <li>ბ) საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფასთან დაკავშირებულ განხილვებსა და დისკუსიებში მონაწილეობას ;</li> <li>გ) საგანმანათლებლო პროგრამის კოლეგიალურ შეფასებას;</li> <li>დ) სასწავლო პროცესის შეფასებას.</li> </ul> <p>მიღებული რეკომენდაციების მიხედვით შესაძლებელია საჭირო ცვლილებების განხორციელება.</p>

<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ ხარისხის გარე შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები;</li> <li>○ სწავლის შედეგების რუკა;</li> <li>○ სილაბუსები;</li> <li>○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><b>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</b></p> <p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
--



<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამის არსებული მონიტორინგის სისტემა ეხმარება შავი ზღვის უნივერსიტეტს განსაზღვროს პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, შეაგროვოს სანდო და ვალიდური მონაცემები, და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება პროგრამების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს მონიტორინგს და შეფასებას; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებენ: სტუდენტები, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პოტენციური დამსაქმებლები, ფაკულტეტის კურსდამთავრებულები; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად პროგრამის ხარისხის მონიტორინგს, შეფასებასა და გაუმჯობესებას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი/ები და თვითშეფასების ჯგუფი;</p> <p>ფაკულტეტს რეაგირებისთვის გადაეცემა წლიური ანგარიშები დასკვნებისა და შესაბამისი რეკომენდაციების ჩათვლით.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ ინტერვიუს შედეგები;</li> <li>○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;</li> <li>○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები</li> <li>○ ანგარიშები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p>

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)


უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:  
შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:  
განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა


დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35 გვერდი  
პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის  
ელენე ჯიბლაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის  
გვანცა ძიბიგური



ნინო პატარაია

ეკატერინე კვირიკაშვილი

